

საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი

სადისერტაციო საბჭოს

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თბილისი

2007

დამტკიცებულია

საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს მიერ

ოქმი №12, 29 ივნისი 2007 წ.

ს ა რ ჩ ე ვ ი

თავი I	ზოგადი დებულებები	4
თავი II	სადისერტაციო საბჭოს ფორმირება	4
თავი III	სადისერტაციო საბჭოს ფუნქციები	5
თავი IV	სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილება	6
თავი V	სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივნის უფლებამოსილება	7
თავი VI	მოთხოვნები სადისერტაციო ნაშრომისადმი	7
თავი VII	სადისერტაციო საბჭოში წარსადგენი დოკუმენტაცია	9
თავი VIII	სადისერტაციო ნაშრომის პირველადი განხილვა	9
თავი IX	სადისერტაციო კომისია	10
თავი X	სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურა	10
თავი XI	აპელაცია	12
თავი XII	სადისერტაციო დოკუმენტაციის აღრიცხვა	12
თავი XIII	მეცნიერების დარგები და სპეციალობები, რომლებშიც შესაბამისი სადისერტაციო საბჭოები უფლებამოსილია მიანიჭოს აკადემიური ხარისხი	13
	დანართი	15

თავი I. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება ადგენს საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტში სადისერტაციო საბჭოების საქმიანობის წესს;
2. სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც იქმნება ფაკულტეტზე;
3. დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება აქვს პირს, რომელმაც დოქტორანტურა გაიარა საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტში და შეასრულა დებულებით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა, აგრეთვე პარტნიორი უნივერსიტეტის დოქტორანტურის კურსდამთავრებულს, თუ ეს გათვალისწინებულია ხელშეკრულებით;
4. დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს სადისერტაციო საბჭო სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის საფუძველზე;
5. ერთი თვის განმავლობაში შეიძლება დაინიშნოს ერთი სადისერტაციო ნაშრომის დაცვა.

თავი II. სადისერტაციო საბჭოს ფორმირება

1. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის ყველა სრული და ასოცირებული პროფესორი;
2. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება მოწვეული იქნას დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე სხვა პირი;
3. ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით სადისერტაციო საბჭოს შექმნის შესახებ ინდივიდუალურ აქტს გამოსცემს უნივერსიტეტის რექტორი;
4. სადისერტაციო საბჭო თავისი შემადგენლობიდან პირველივე სხდომაზე ირჩევს თავმჯდომარეს, მოადგილეს და სწავლულ მდივანს, რაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ფორმდება რექტორის ინდივიდუალური აქტით;
5. სადისერტაციო საბჭოს პირველ სხდომას უძღვება ფაკულტეტის დეკანი, აგრეთვე, თავმჯდომარის არჩევამდე შემდგომ სხდომას (სხდომებს) იმ შემთხვევაში, თუ პირველივე სხდომაზე არ იქნა არჩეული თავმჯდომარე;
6. სადისერტაციო საბჭო ირჩევა ოთხი წლის ვადით;

7. სადისერტაციო საბჭო ფუნქციონირებს 01 სექტემბრიდან 01 ივლისამდე (01 ივლისიდან 01 სექტემბრამდე ცხადდება არდადეგები).

თავი III. სადისერტაციო საბჭოს ფუნქციები

1. სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს საბჭოს სხდომაზე. საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. გადაწყვეტილება მიღებულია, თუ მას ხმას მისცემს დამსწრეთა არანაკლებ 2/3-ისა. კენჭისყრის ფორმებს განსაზღვრავს სადისერტაციო საბჭო;
2. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და სწავლული მდივანი;
3. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, საბჭოს შემადგენლობაში ცვლილების შესახებ, თავმჯდომარის წარდგინებით ინდივიდუალურ აქტს გამოსცემს უნივერსიტეტის რექტორი;
4. საჭიროების შემთხვევაში სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე შესაძლებელია ერთი თვის განმავლობაში მოეწიოს ორი დაცვა;
5. სადისერტაციო საბჭო თავმჯდომარის წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებას შემფასებლების დანიშვნის შესახებ (შემფასებლებს განსახილველი სადისერტაციო ნაშრომის მიმართულებით გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეთ სამი შრომა მაინც);
6. სადისერტაციო საბჭო თავმჯდომარის წარდგინებით საბჭოს შემადგენლობიდან ნიშნავს სადისერტაციო კომისიას და თავმჯდომარეს (სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე არ შეიძლება იყოს შემფასებელი);
7. პლაგიატის ან დისერტანტის მიერ სადისერტაციო მასალების და დოკუმენტების გაყალბების შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას დისერტაციის განხილვიდან მოხსნის შესახებ. პლაგიატორს უკრძალავს ახალი დისერტაციის წარდგენას მოცემულ ან მომიჯნავე თემაზე;
8. თუ პლაგიატი ან სადისერტაციო დოკუმენტების გაყალბება დადგინდა დისერტაციის დაცვის შემდეგ (ნებისმიერ დროს) სადისერტაციო საბჭომ ბათილად უნდა ცნოს მინიჭებული აკადემიური ხარისხი და აღძრას საკითხი გაცემული დიპლომის გააუქმების შესახებ;
9. სადისერტაციო საბჭოს წევრის მოთხოვნისას ავალდებულებს დისერტანტს გამოკვლევის პირველადი ჩანაწერების წარდგენას;

10. სადისერტაციო საბჭო დებულობს გადაწყვეტილებას სადისერტაციო ნაშრომზე მონოგრაფიის სავალდებულო გავრცელების შესახებ.
11. სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია აკადემიური ხარისხი მიანიჭოს ამ დებულებით განსაზღვრულ მეცნიერების დარგებში და შესაბამის სპეციალობებში.

თავი IV. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილება

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე:

1. უძღვება სადისერტაციო საბჭოს სხდომას. იმ შემთხვევაში, თუ თავმჯდომარე არის დისერტანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, აგრეთვე, მისი არყოფნისას, სხდომას უძღვება მოადგილე. მოადგილე არ შეიძლება გაუძღვეს სხდომას, თუ იგი ამავე დროს არის დისერტანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი. თუ არც თავმჯდომარეს და არც მის მოადგილეს არ შეუძლიათ სხდომის ხელმძღვანელობა, მაშინ ამ სხდომის თავმჯდომარედ ინიშნება სადისერტაციო საბჭოს ერთ-ერთი წევრი. დანიშნვა ფორმდება რექტორის ინდივიდუალური აქტით;
2. უფლებამოსილია სწავლული მდივნის დაუსწრებლობის შემთხვევაში მისი მოვალეობის შესრულება დაავალოს საბჭოს ერთ-ერთ წევრს;
3. იწვევს საბჭოს სხდომას სემესტრში ერთხელ მაინც;
4. იღებს გადაწყვეტილებას სადისერტაციო ნაშრომის დაცვის ან უარყოფითად შეფასების შემთხვევაში განმეორებითი დაცვის თარიღის დანიშვნის შესახებ, რაზეც დისერტაციის დაცვამდე 20 დღით ადრე ფორმდება რექტორის ინდივიდუალური აქტი;
5. უზრუნველყოფს დისერტანტისათვის წერილობითი ფორმით მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების მიწოდებას, გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 10 დღისა;
6. ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს წლიური მუშაობის ანგარიშს (დანართი 1) მომდევნო სასწავლო წლის 10 სექტემბრამდე (ანგარიშს წარადგენს აგრეთვე, სამეცნიერო-კვლევით საკოორდინაციო სამსახურში);
7. რწმუნების ვადის გასვლამდე, სულ მცირე ორი კვირით ადრე, წარდგება ფაკულტეტის საბჭოს წინაშე შემაჯამებელი ანგარიშით.

თავი V. სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივნის უფლებამოსილება

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი:

1. უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს ორგანიზაციულ საქმიანობას;
2. საბჭოს წევრებს სხდომამდე ორი კვირით ადრე აცნობს დღის წესრიგს;
3. ახორციელებს სადისერტაციო საბჭოს საქმისა და არქივის წარმოებას, ორგანიზებას უწევს გადაწყვეტილების გამოქვეყნებას უნივერსიტეტის გაზეთში და ვებ-გვერდზე;
4. უზრუნველყოფს დისერტაციის ერთი ეგზემპლარის და ელექტრონული ვერსიის გადაცემას სადისერტაციო ნაშრომის დაცვამდე ერთი თვით ადრე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის;
5. უზრუნველყოფს სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლებისათვის გადაცემას მათი დანიშნვიდან, არაუგვიანეს, ერთი თვისა;
6. უზრუნველყოფს დისერტანტისათვის შემფასებლების დასკვნების გადაცემას დისერტაციის დაცვამდე 20 დღით ადრე;
7. სადისერტაციო ნაშრომის დაცვამდე 15 დღით ადრე უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელებას უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, აგრეთვე თვალსაჩინო ადგილზე - დისერტაციის დაცვის თარიღის, ადგილის, დროს, დისერტაციის დასახელების, ავტორის, ხელმძღვანელის და შემფასებლების მითითებით;
8. უზრუნველყოფს დისერტაციის ბანკ-ბარათის (დანართი №5) სარეგისტრაციოდ წარდგენას სამეცნიერო-კვლევით საკოორდინაციო სამსახურში.
9. დისერტაციის დაცვის შემდგომ, სერტიფიკატის გაცემამდე, უზრუნველყოფს მონოგრაფიის 10 ეგზემპლარის და ელექტრონული ვერსიის გადაცემას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის;

თავი VI. მოთხოვნები სადისერტაციო ნაშრომისადმი

1. დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს შესაბამისი დარგის სრული პროფესორის ხელმძღვანელობით. არგუმენტირებული დასაბუთების შემთხვევაში ხელმძღვანელი სრულ პროფესორთან ერთად შეიძლება იყოს ასოცირებული პროფესორი;
2. სადისერტაციო ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო ენაზე (სატიტულო ფურცელი დანართი №4-ის მიხედვით). სადისერტაციო საბჭოს ნებართვით დასაშვებია მისი სხვა ენაზე შესრულება;
3. სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა კომპიუტერზე აწეობისას არ უნდა აღემატებოდეს 200 გვერდს, დანართის გარეშე, რომელიც წარმოდგენილი

- უნდა იყოს ტექსტურ რელაქტორში, ფონტი-Acad Nuxx (სხვა ენაზე შესრულებისას Times New Roman), შრიფტის ზომა – 14, A4 (210X297 მმ) ზომის ქაღალდზე, გვერდის პარამეტრების შემდეგი სტანდარტების დაცვით: ტექსტის ზედა და ქვედა კიდიდან დაშორება – 2,5 სმ, მარცხნიდან – 3,0 სმ, მარჯვიდან – 1,0 სმ, სტრიქონებს შორის ინტერვალი – 1,5;
4. ძირითადი შედეგები (მინიმუმ 5 ნაშრომი, მათგან 3 დამოუკიდებელი) გამოქვეყნებული უნდა იყოს დარგის რეცენზირებად და რეფერირებად სამეცნიერო გამოცემებში დაცვამდე სამი თვით ადრე (პატენტი ითვლება შრომად);
 5. სადოქტორო დისერტაციის შედეგები არ უნდა შეიცავდეს დოქტორანტის მიერ დაცული სამაგისტრო ნაშრომის ძირითად შედეგებს;
 6. სადისერტაციო ნაშრომში ციტირებული ლიტერატურის ნუსხის გაფორმებისას დაცული უნდა იქნას შემდეგი მოთხოვნები:
 - ლიტერატურა მითითებული უნდა იყოს პირველი ავტორის გვარის ანბანური თანმიმდევრობით, ან ლიტერატურის მიმოხილვაში მოცემული მიმდევრობის მიხედვით, ამასთან აუცილებელია გამომცემლობისა, გამოცემის წელის და გვერდების რაოდენობის მითითება;
 - მონოგრაფიის მითითებისას საჭიროა ნაშრომის სახელწოდების, ყველა ავტორის გვარებისა და ინიციალების, გამომცემლობისა და გამოცემის წელის მითითება;
 - სამეცნიერო ჟურნალებიდან ნაშრომის ციტირებისას უნდა იყოს მითითებული: ყველა ავტორის გვარი და ინიციალები, ნაშრომის სახელწოდება, ჟურნალის სახელწოდების საყოველთაოდ მიღებული აბრევიატურა. გამოცემის წელი, ტომი, საწყისი და ბოლო გვერდების რიგითი ნომრები;
 - საავტორო მოწმობის, გამოგონების (პატენტის) მითითებისას უნდა მიეთითოს: ყველა ავტორის გვარი და ინიციალები, საავტორო მოწმობის, გამოგონების (პატენტის) სახელწოდება, განცხადების შეტანის თარიღი, გამოქვეყნების თარიღი, ბიულეტენის ნომერი;
 7. ზემოთაღნიშნული მოთხოვნების დაუცველობის შემთხვევაში დისერტანტს უბრუნდება სადისერტაციო ნაშრომი და მხოლოდ ამ ხარვეზების გამოსწორების შემდეგ მიეცემა შემდგომი მსვლელობა;
 8. თუ თანაავტორობით მიღებული შედეგი ერთ-ერთმა ავტორმა გამოიყენა სამაგისტრო ნაშრომში ან სადოქტორო დისერტაციაში, მაშინ დანარჩენი ავტორების მიერ ამ შედეგის კვლავ ძირითად შედეგად წარმოდგენა დაუშვებელია;
 9. სადისერტაციო ნაშრომის დეპარტამენტის სხდომაზე განხილვის ოქმში უნდა აისახოს:
 - როდის და რომელმა საბჭომ დაამტკიცა სადისერტაციო თემა (თემის დამტკიცების თარიღის და ოქმის ნომრის მითითებით);
 - ვინ და როდის გამოყო სამეცნიერო ხელმძღვანელი (ები);
 - მეცნიერების დარგი და სპეციალობა, რომელსაც შეესაბამება დისერტაცია;
 - დისერტაციის თემის აქტუალობა;
 - დისერტაციის ძირითადი შედეგების მიღებაში დისერტანტის პირადი წვლილი;
 - განხორციელებული კვლევის შედეგების მეცნიერული სიახლე, სანდოობა, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, ნაშრომის სტრუქტურული და ენობრივი გამართულობა;

- დისერტანტის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების შინაარსის სადისერტაციო ნაშრომში ასახვის სისრულე და იმ სამეცნიერო ჟურნალების შესაბამისობა, სადაც გამოქვეყნებულია სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები;
10. იმ შემთხვევაში, თუ დისერტაციის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია ერთობლივ შრომებში, ოქმს თან უნდა ერთვოდეს ყოველი თანაავტორის თანხმობა ამ შედეგების დისერტაციაში შეტანის შესახებ.

თავი VII. სადისერტაციო საბჭოში წარსადგენი დოკუმენტაცია

1. სადისერტაციო ნაშრომის დეპარტამენტის სხდომაზე განხილვის შემდეგ დისერტანტი განცხადებას საჯარო დაცვაზე დასაშვებად სადისერტაციო საბჭოს და სპეციალობის მითითებით წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს;
2. დისერტანტმა სამეცნიერო-კვლევით საკოორდინაციო სამსახურში დასარეგისტრირებლად რექტორის მიერ ვიზირებულ განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინოს:
 - CV;
 - დეპარტამენტის სხდომაზე სადისერტაციო ნაშრომის განხილვის ოქმი;
 - სადისერტაციო ნაშრომის ოთხი აკინძული და ერთი ელექტრონული ვერსია;
 - კრებსითი უწყისი;
 - სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნა,
 - მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატი (ასლი, მოთხოვნის შემთხვევაში დედანი);
 - სადისერტაციო თემასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია დეკანის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული, აგრეთვე, შრომების ასლები სატიტულო ყდის ჩვენებით;
3. სამეცნიერო-კვლევით საკოორდინაციო სამსახურში რეგისტრაციის შემდეგ დისერტანტი ზემოთჩამოთვლილ დოკუმენტებს წარადგენს სადისერტაციო საბჭოში.

თავი VIII. სადისერტაციო ნაშრომის პირველადი განხილვა

1. სადისერტაციო ნაშრომი საბჭოში წარდგენიდან, არაუგვიანეს ერთი თვისა, დასკვნის გასაკეთებლად გადაეცემა სამ შემფასებელს;
2. თითოეული შემფასებელი სადისერტაციო ნაშრომის შესახებ დასკვნას ორ ეგზემპლიარად წარადგენს სადისერტაციო საბჭოში ნაშრომის მიღებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა;
3. დასკვნაში მოცემული უნდა იყოს: სადისერტაციო ნაშრომის თემის შესაბამისობა სადისერტაციო საბჭოში წარმოდგენილ სპეციალობასთან; ავტორის მიერ გამოქვეყნებულ შრომებში სადისერტაციო შრომის ძირითადი შედეგების ასახვის სისრულე; დებულებით გთვალისწინებულ გამოცემებში გამოქვეყნებული შრომების ძირითადი შედეგების შესაბამისობა; თემის

- აქტუალურობა; კვლევის მეცნიერული დონე, მიღებული შედეგების საფუძვლიანობა;
4. დასკვნაში მითითებული უნდა იყოს გადაწყვეტილება დისერტანტის დაცვაზე დაშვების ან უარის თქმის, აგრეთვე დისერტანტისათვის სადისერტაციო ნაშრომის შესწორების მიზნით უკან დაბრუნების შესახებ;
 5. სადისერტაციო ნაშრომი შესწორების მიზნით, უკან დაბრუნების შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოში ხელახლა შეიძლება წარმოდგენილი იქნას 6 თვის შემდეგ, დაცვაზე უარის შემთხვევაში 12 თვის შემდეგ;
 6. დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სადისერტაციო ნაშრომის დაცვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ხუთ თვეს სადისერტაციო საბჭოში მისი მიღების დღიდან (არდადეგების ჩააუთვლელად);
 7. სადისერტაციო ნაშრომი, განმეორებით წარდგენისას, გადის ზემოთაღნიშნულ პროცედურას თავიდან.
 8. დოქტორანტს, შემფასებლების უარყოფითი დასკვნების შემთხვევაში, უფლება აქვს მოითხოვოს სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვა.

თავი IX. სადისერტაციო კომისია

1. სადისერტაციო კომისია შედგება ხუთი წევრისაგან: სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების და შესაბამისი მიმართულების ორი წევრისაგან;
2. კომისიის თითოეული წევრი სადისერტაციო ნაშრომს აფასებს ასქულიანი სისტემით;
3. კომისიის თავმჯდომარეს გამოყავს შეფასების საშუალო ქულა, ავსებს შეფასების უწყისს (დანართი №6), რაზეც ხელს აწერს კომისიის წევრები;
4. იმ შემთხვევაში, თუ სხდომას არ ესწრება კომისიის თავმჯდომარე, მისი მოვალეობა ეკისრება კომისიის სხვა წევრს.

თავი X. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურა

1. საბჭოს სხდომის გახსნის წინ თავმჯდომარე აკეთებს განცხადებას საბჭოს წევრთა დასწრებისა და საბჭოს მუშაობის უფლებამოსილების შესახებ (დანართი №3-ის მიხედვით). სხდომის გახსნის შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს დღის წესრიგს, დისერტანტის ვინაობას, დისერტაციის თემას, სადისერტაციო კომისიის შემადგენლობას და სიტყვას გადასცემს სწავლულ მდივანს, რომელიც საბჭოს აცნობს დისერტანტის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს, მის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს და დისერტაციის დაცვის პროცედურას;
2. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა შედგება, თუ სხდომას ესწრება სადისერტაციო კომისიის შემადგენლობიდან 4 წევრი მაინც;
3. თავმჯდომარის წინადადებით დისერტანტი საბჭოს მოახსენებს ნაშრომის ძირითად დებულებებს და მიღებულ შედეგებს. მოხსენებისათვის განკუთვნილია დრო 30 წუთამდე. დისერტაციის დაცვა მიმდინარეობს საქართველოს სახელმწიფო ენაზე (საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია დაცვა განხორციელდეს სხვა ენაზეც);
4. თავმჯდომარის წინადადებით დისერტანტი პასუხობს დამსწრეთა დასმულ შეკითხვებს, რის შემდეგაც სიტყვა ეძლევა სწავლულ მდივანს, რომელიც

საბჭოს გააცნობს დეპარტამენტში სადისერტაციო ნაშრომის განხილვის ოქმს, შემდეგ იწყება შემფასებლების პაექრობა დისერტანტთან, (შემფასებლის დაუსწრებლობის შემთხვევაში დასკვნას კითხულობს სწავლული მდივანი, დისერტანტის პასუხი წერილობით ეცნობება შემფასებელს), რის შემდეგაც სიტყვა ეძლევა სამეცნიერო ხელმძღვანელს. ამის შემდეგ დისკუსიაში მონაწილეობა შეუძლიათ როგორც საბჭოს წევრებს, ისე დამსწრე საზოგადოებას.

5. დისკუსიის დამთავრების შემდეგ სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად აცხადებს შესვენებას;
6. შეფასება ეწყობა ცალკე ოთახში, სადაც იმყოფებიან მხოლოდ სადისერტაციო კომისიის წევრები.
7. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შეფასება ხორციელდება შემფასებელთა დასკვნების, დისერტანტის მიერ წარმოდგენილი მოხსენებისა და მეცნიერული დისკუსიის საფუძველზე;
8. დაცვის შეფასებისათვის გამოიყენება ასქულიანი სისტემა:

ქულა	შეფასების ასოითი და სიტყვიერი აღნიშვნა	
91 - 100	A	ფრიადი
81 - 90	B	ძალიან კარგი
71 - 80	C	კარგი
61 - 70	D	საშუალო
51 - 60	E	დამაკმაყოფილებელი
41 - 50	FX	არადამაკმაყოფილებელი, დისერტაციის დასაცავად მეტი სამუშაოა ჩასატრებელი
0 - 40	F	სუსტი, დისერტაციის დასაცავად მნიშვნელოვანი სამუშაოა ჩასატრებელი

9. შეფასების ქულა გამოიყვანება საშუალო არითმეტიკულის პრინციპით, ამასთან ხდება ერთი მაქსიმალური და ერთი მინიმალური ქულის იგნორირება, რაზეც ივსება შეფასების უწყისი;
10. სადისერტაციო საბჭო ხარისხის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შეფასების უწყისის დამტკიცების შემდეგ; შეფასების უწყისი მტკიცდება ღია კენჭისყრით საბჭოს წევრების ხმების უმრავლესობით, რის შემდეგაც საბჭოს თავმჯდომარე ოფიციალურად აცხადებს საბჭოს გადაწყვეტილებას დისერტანტისათვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების (მიუნიჭებლობის) შესახებ, რომელიც ძალაში შესულად ითვლება შეფასების უწყისის დამტკიცებისთანავე;
11. სადისერტაციის ნაშრომის დაცვის მსვლელობა ფიქსირდება სტენოგრაფიულად ან შესაბამისი ტექნიკის გამოყენებით, რის საფუძველზეც ფორმდება სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმი.
12. დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი: სხდომაზე დასწრების სია, შეფასების უწყისი, სტენოგრაფიული ანგარიში, დისერტაციის ბანკ-ბარათი აღირიცხება ერთი ნომრით სხდომების თანმიმდევრობის შესაბამისად ზრდადი ნუმერაციით, ოთხი წლის განმავლობაში;
13. დისერტაციის დაცვის შემდეგ უნდა გამოქვეყნდეს ნაშრომი მონოგრაფიის სახით (მოცულობით არანაკლებ 5,0 ნაბეჭდი თაბახისა);
14. თუ სადისერტაციო ნაშრომის დაცვა შეფასდა უარყოფითად, დისერტანტს უფლება აქვს ორი წლის შემდეგ კვლავ წარმოადგინოს დასაცავად დისერტაციის გადამუშავებული ვარიანტი, რომლის განხილვაც მოხდება ისეთივე წესით, როგორც პირველად წარმოდგენილისა.

15. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების დამადასტურებელი სერტიფიკატი, უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად გაიცემა სადისერტაციო ნაშრომის დაცვიდან სამი თვის შემდეგ.

თავი XII. აპელაცია

1. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების (არ მინიჭების) შესახებ სადისერტაციო საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან, არაუგვიანეს სამი თვისა, აკადემიური ხარისხის მაძიებელს და სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირს უფლება აქვთ უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში წარადგინოს აპელაცია;
2. აკადემიური საბჭო აპელაციას განიხილავს მიღებიდან, არაუგვიანეს 10 დღისა და დასკვნას უგზავნის შესაბამის სადისერტაციო საბჭოს და აპელანტს.

თავი XIII. სადისერტაციო დოკუმენტაციის აღრიცხვა

1. დისერტაციის დაცვის შემდეგ სადისერტაციო საბჭოს არქივში რჩება საქაღალდეში აკინძული საქმე, რომელშიც შედის:
 - დისერტანტის განცხადება სადისერტაციო ნაშრომის განსახილველად მიღების თაობაზე;
 - CV;
 - დისერტაციის თემასთან დაკავშირებული გამოქვეყნებული შრომების სია;
 - დეპარტამენტის სხდომაზე სადისერტაციო ნაშრომის განხილვის ოქმი;
 - კრებსითი უწყისი;
 - სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნა;
 - მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატის ასლი;
 - შემფასებლების დასკვნები;
 - სადისერტაციო ნაშრომის შეფასების უწყისი;
 - დაცვის მსვლელობის სტენოგრაფიული ანგარიში (სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმის სახით);
2. სადისერტაციო საქმე საბჭოში ინახება სადისერტაციო საბჭოს უფლებამოსილების ერთი ვადის განმავლობაში, ხოლო შემდეგ გადაეცემა უნივერსიტეტის არქივს.

თავი XIV. მეცნიერების დარგები და სპეციალობები, რომლებშიც შესაბამისი საღისურტაციო საბჭოები უფლებამოსილია მიანიჭოს აკადემიური ხარისხი

სპეციალობის შიფრი	მეცნიერების დარგი, სპეციალობების ჯგუფი, სპეციალობა	მეცნიერების დარგი, რომელშიც ხდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება
1	2	3
6	სოფლის მეურნეობა და ვეტერინარია	
62	სასოფლო-სამეურნეო და სატყეო საქმე	
	აგრონომია	
	მემცენარეობა	სოფლის მეურნეობის
	მიწათმოქმედება	„ ----- “
	გენეტიკა	„ ----- “
	სელექცია და მეთესლეობა	„ ----- “
	საკვებწარმოება	„ ----- “
	მეაბრეშუმეობა	„ ----- “
	მეხილეობა	„ ----- “
	მევენახეობა	„ ----- “
	მებოსტნეობა	„ ----- “
	აგროეკოლოგია	„ ----- “
	აგროქიმია	„ ----- “
	აგრონიადამცოდნეობა	„ ----- “
	მცენარეთა დაცვა	„ ----- “
	ზოოტექნია	
	მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგია	„ ----- “
	სასოფლო-სამეურნეო ცხოველების მოშენება, სელექცია, გენეტიკა და აღწარმოება	„ ----- “
	სასოფლო-სამეურნეო ცხოველების კვება და საკვების ტექნოლოგია	„ ----- “
	სატყეო	
	ტყეთმოწეობა და ტყის ტაქსაცია	„ ----- “
	ტყეთმცოდნეობა და მეტყვეობა	„ ----- “
63	აგროსაინჟინრო	
	სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია	აგროინჟინერიის
	სოფლის მეურნეობის მექანიზაცია	„ ----- “
	სასოფლო-სამეურნეო მელიორაცია	„ ----- “
64	ვეტერინარია	
	ცხოველთა პროპედევტიკა, ქირურგია, გინეკოლოგია და გამრავლების ბიოტექნოლოგია	ვეტერინარიის
	ცხოველების და მათი პროდუქტების ჰიგიენა და სავეტერინარო სანიტარული ექსპერტიზა, ფარმაკოლოგია და ტოქსიკოლოგია	„ ----- “

1	2	3
	სავეტერინარო მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია, ეპიზოოტოლოგია, მიკოლოგია, იმუნოლოგია და პარაზიტოლოგია	„ ----- “
	ცხოველთა პათოლოგია, ონკოლოგია და მორფოლოგია	„ ----- “
3	სოციალური მეცნიერებანი, ბიზნესი და სამართალმცოდნეობა	
31	სოციალური მეცნიერებანი	
	აგრარული ეკონომიკა	სოციალური მეცნიერების
34	ბიზნესი და მართვა	
	აგრობიზნესის მენეჯმენტი	ბიზნესის მართვის
5	ინჟინერია, მრეწველობა და მშენებლობა	
54	საწარმოო და გადამამუშავებელი დარგები	
	კვების პროდუქტების დაკონსერვების ტექნოლოგია	ტექნოლოგიების
	ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო კვების პროდუქტების ტექნოლოგია	„ ----- “
	პურისცხობის, მაკარონის და საკონდიტრო ნაწარმთა ტექნოლოგია	„ ----- “
	მემცენარეობის პროდუქტების პირველადი გადამამუშავების და შენახვის ტექნოლოგია	„ ----- “
	ხორცის, რძის და თევზის პროდუქტების ტექნოლოგია	„ ----- “

საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი

ფაკულტეტის

სადისერტაციო საბჭოს

200 წლის მუშაობის ანგარიში

სადისერტაციო საბჭოს მიერ გამართული სხდომების რაოდენობა	
--	--

დაცული დისერტაციის რაოდენობა	სპეციალობა	რაოდენობა

რამდენი დისერტაცია არ იქნა დამტკიცებული	სპეციალობა	რაოდენობა

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე

----- /გვარი, სახელი/
(ხელმოწერა)

სწავლული მდივანი

----- /გვარი, სახელი/
(ხელმოწერა)

(დანართში საზი და საზქვეშა განმარტებები არ იბეჭდება)

ცნობა
აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ

საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის

----- ფაკულტეტის

სადისერტაციო საბჭოს

200 წ. „-----“ ----- სხდომაზე (ოქმი № -----)

გაიმართა -----

(ხარისხის მაძიებლის სახელი, გვარი)

დისერტაციის -----

(თემის დასახელება)

დაცვა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით -----

(მაძიებლის სახელი, გვარი)

მიენიჭა ----- დოქტორის აკადემიური ხარისხი

(მეცნიერების დარგი)

----- სპეციალობით

ბ.ა. სადისერტაციო საბჭოს

თავმჯდომარე

(ხელმოწერა)

სწავლული მდივანი

(ხელმოწერა)

(დანართში საზი და საზქვეშა განმარტებები არ იბეჭდება)

სადისერტაციო საბჭოს წევრების დასწრების ფურცელი

----- ფაკულტეტის

სადისერტაციო საბჭოს სხდომა -----
(სხდომის ოქმის ნომერი, თარიღი)

დოქტორის აკადემიური ხარისხის მაძიებელი -----
(სახელი, გვარი)

სპეციალობა -----
(სპეციალობის დასახელება)

№	გვარი, სახელი	სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხი, სპეციალობა	საბჭოს სხდომაზე დასწრება (ხელმოწერა)
1	2	3	4

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი -----
(ხელმოწერა)

(დანართში ხაზი და ხაზქვეშა განმარტებები არ იბეჭდება)

დისერტაციის სატიტულო ფურცელი

(ორგანიზაცია, სადაც შესრულდა დისერტაცია)

(დისერტანტის სახელი, გვარი)

(დისერტაციის დასახელება)

----- დოქტორის
(მეცნიერების დარგი)
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

(სპეციალობის დასახელება)

სამეცნიერო ხელმძღვანელი -----
(სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხი, აკადემიური თანამდებობა, სახელი, გვარი)

წელი

(დანართში ხაზი და ხაზქვეშა განმარტებები არ იბეჭდება)

საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი

დისერტაციის ბანკ-ბარათი №

----- ფაკულტეტის

სადისერტაციო საბჭოს

200 წ. ----- სხდომაზე, ოქმი № ---

გაიმართა დისერტაციის დაცვა ----- დოქტორის

(მეცნიერების დარგი)

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სპეციალობით -----

(დასახელება)

დისერტანტი ----- დაბადების თარიღი -----

(გვარი, სახელი)

სამუშაო ადგილი: -----

თანამდებობა: -----

დისერტაცია შესრულდა -----

(დეპარტამენტი, სადაც შესრულდა დისერტაცია)

დისერტაციის თემა : -----

(თემის დასახელება,

(სადისერტაციო თემის დამტკიცების თარიღი, ოქმის №)

შემფასებლები : -----

(გვარი, სახელი, სპეციალობა)

დისერტაციის მეცნიერული სიახლე და მიღებული შედეგები

(მოიცავს დისერტაციაში მიღებული შედეგების მეცნიერულ სიახლეს და მის აქტუალურობას, შემფასებლების დასკვნებისა და დაცვის პროცესში საბჭოს წევრების აზრთა გათვალისწინებით.)

სადისერტაციო საბჭოს დადგენილება

-----ს მიენიჭოს -----
(დისერტანტის სახელი, გვარი) (დარგი)
დოქტორის აკადემიური ხარისხი ----- სპეციალობით
(სპეც დასახელება)

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე -----
(სელმოწერა)

სწავლული მდივანი -----
(სელმოწერა)

(შენიშვნა: დისერტაციის ბანკ-ბარათი იწყობა კომპიუტერზე ორ ეგზემპლარად, რომლებიც სარეგისტრაციოდ გადაეცემა სამეცნიერო-კვლევით საკოორდინაციო სამსახურს. რეგისტრირებული ბანკ-ბარათის პირველი პირი რჩება სამეცნიერო-კვლევით საკოორდინაციო სამსახურში. რეგისტრირებული ბანკ-ბარათის მეორე პირი იგზავნება სადისერტაციო საბჭოში და ინახება დისერტანტის საქმეში.)

(დანართში ხაზი და ხაზქვეშა განმარტებები არ იბეჭდება)

საქართველოს სახელმწიფო სასოფლო სამეურნეო-უნივერსიტეტი

----- ფაკულტეტის

სადისერტაციო საბჭოს

200 წ. „ ----- “ ----- (ოქმი № -----)

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების
უწყისი №

კომისია შემდეგი შემადგენლობით: -----
(გვარი, სახელი)

(გვარი, სახელი) (გვარი, სახელი)

(გვარი, სახელი) (გვარი, სახელი)

შეიქმნა -----
(მაძიებლის გვარი, სახელი)

სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება კომისიის თითოეული წევრის მიერ				
1	2	3	4	5

მიღებული შედეგების საფუძველზე -----
(მაძიებლის გვარი, სახელი)

სადისერტაციო ნაშრომის -----
(ნაშრომის დასახელება)

შეფასება არის ----- ქულა
(რიცხვითი, ასოითი, სიტყვითი)

სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე ----- /გვარი, სახელი/
(ხელმოწერა)

ბ.ა. კომისიის წევრები: ----- /გვარი, სახელი/
(ხელმოწერა)

----- /გვარი, სახელი/
(ხელმოწერა)

----- /გვარი, სახელი/
(ხელმოწერა)

----- /გვარი, სახელი/
(ხელმოწერა)

(დანართში საზი და საზქვეშა განმარტებები არ იბეჭდება)